

სატენდერო მოწვევა და ტექნიკური დავალება გარე აუდიტორული მომსახურების შესყიდვაზე

1. ზოგადი დებულებები და პროექტის მიზანი

სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204426674) (შემდგომში მოხსენიებული როგორც „კომპანია“), რომელიც წარმოადგენს საქართველოში ლიცენზირებულ და ვენის სადაზღვევო ჯგუფის (VIG) წევრ სადაზღვევო კომპანიას, აცხადებს საჯარო ტენდერს 2026 წლის ფინანსური წლის სრული ფინანსური ანგარიშგების გარე აუდიტის მომსახურების შესყიდვაზე.

წინამდებარე ტენდერის ძირითადი მიზანია დამოუკიდებელი, მაღალი რეპუტაციისა და შესაბამისი საერთაშორისო კვალიფიკაციის მქონე აუდიტორული კომპანიის შერჩევა. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ობიექტური შეფასება, საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების (IFRS/ფასს), აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა (ISA) და მოქმედი ეროვნული საკანონმდებლო რეგულაციების სრული დაცვით.

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტი და მისი გუნდი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ სავალდებულო საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს:

- პრეტენდენტი რეგისტრირებული უნდა იყოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS) სახელმწიფო რეესტრში და გააჩნდეს საზოგადოებრივი დაინტერესების პირის (სდპ) აუდიტის განხორციელების ოფიციალური და უპირობო უფლებამოსილება.
- პროექტში ჩართულ წამყვან აუდიტორებსა და პარტნიორს უნდა გააჩნდეთ მოქმედი საერთაშორისო პროფესიული სერტიფიკატი (ACCA, CPA ან ეკვივალენტური) და ახალ საერთაშორისო სტანდარტთან — IFRS 17 (სადაზღვევო ხელშეკრულებები) მუშაობის გამოცდილება.
- პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ევროკავშირის (EU) სადაზღვევო სუბიექტების/კომპანიების აუდიტის განხორციელების მინიმუმ ორ (2) წლიანი გამოცდილება შესაბამისი სააღრიცხვო სტანდარტების (მათ შორის IFRS 17 და IFRS 9) შესაბამისად;
- პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს სადაზღვევო IT სისტემებისა და არქიტექტურის დადასტურებული აუდიტორული გამოცდილება, კონკრეტულად SAP, ResQ და FPSL სისტემების მიმართულებით.
- აუდიტორული ჯგუფის შემადგენლობაში აუცილებელია ჩართული იყოს კვალიფიციური აქტუარი, რომელიც დეტალურად გადაამოწმებს სადაზღვევო რეზერვების ფორმირების მეთოდოლოგიას.

- პრეტენდენტი კომპანიის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს რაიმე სახის სამართლებრივი ან ადმინისტრაციული დავა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის მის პროფესიულ დამოუკიდებლობას.
- პრეტენდენტი ვალდებულია ჩართოს და უზრუნველყოს VIG ჯგუფის აუდიტორის აქტუარული გუნდის მონაწილეობა მოქმედი სააღრიცხვო სტანდარტის (IFRS 17) შესაბამისად სადაზღვევო რეზერვების შეფასების პროცესში, ასევე აქტიური კოორდინაცია აწარმოოს VIG ჯგუფის აუდიტორთან ყველა IFRS 17 სადაზღვევო რეზერვის ფორმალური დადასტურებისა და თანხვედრის (ალინმენტის) უზრუნველსაყოფად.

3. ტექნიკური დავალება (Terms of Reference - TOR)

3.1 მომსახურების ძირითადი მოცულობა (Scope of Work)

გარე აუდიტორულმა კომპანიამ უნდა განახორციელოს კომპანიის 2026 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური წლის სრული ფინანსური ანგარიშგების დამოუკიდებელი აუდიტი, რომელიც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების (ბალანსი) შემოწმება;
- სრულყოფილი შემოსავლის ანგარიშგების (მოგება-ზარალი) შემოწმება;
- კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგების შემოწმება;
- ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების შემოწმება;
- მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის და განმარტებითი შენიშვნების დეტალური აუდიტი.
- სადაზღვევო ვალდებულებების შეფასების სპეციფიკური მოდელების (GMM, PAA, VFA), საპროგნოზო ფულადი ნაკადების და რისკის კორექტირების (Risk Adjustment) შესაბამისობის მკაცრი შემოწმება ფასს 17 სტანდარტის მოთხოვნებთან.
- საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილი წესით მომზადებული საზედამხედველო კაპიტალის და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლების ვალიდაცია.
- აუდიტორული კომპანია ვალდებულია აუდიტის პორცესის დასრულების შემდეგ აუდიტის ძირითადი მიგნებებისა და საკვანძო აუდიტორული საკითხების (KAM) პრეზენტაცია კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსთან და აუდიტის კომიტეტთან.

3.2. ძირითადი შედეგები და რეპორტირება (Deliverables)

აუდიტორულმა კომპანიამ დამკვეთს უნდა წარუდგინოს შემდეგი საბოლოო დოკუმენტები/ინფორმაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე):

- ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი ფასს-ის (IFRS) შესაბამისად (Standalone Financial Statements);
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი (Consolidated Financial Statements);

- VIG ჯგუფის აუდიტორული საანგარიშგებო პაკეტის (Reporting Package) მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია VIG ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად;
- მენეჯმენტის წერილი (Management Letter);
- დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.

4. სამუშაოს შესრულების ვადები და ეტაპები (Milestones)

შერჩეული აუდიტორული კომპანია ვალდებულია მკაცრად დაიცვას ჯგუფის ანგარიშგების შემდეგი განრიგი:

ა) შუალედური აუდიტორული მიმოხილვა (9-თვიანი პერიოდი)

- შედეგების წარდგენა ხელმძღვანელობისთვის (მენეჯმენტისთვის) - **არაუგვიანეს 15 ნოემბერი.**
- შედეგების წარდგენა კომპანიის აუდიტის კომიტეტისთვის - **არაუგვიანეს 20 ნოემბერი.**
- პირველადი კითხვარის (Questionnaire) წარდგენა ჯგუფის აუდიტორისთვის - **არაუგვიანეს 25 ნოემბერი.**

ბ) წლის ბოლო აუდიტი

- ფინანსურ ანგარიშგებებთან და საანგარიშგებო პაკეტებთან დაკავშირებული ფინანსური მაჩვენებლების გადამოწმება და საბოლოო სახით ჩამოყალიბება (ფინალიზაცია) - **არაუგვიანეს 25 იანვარი.**
- საბოლოო კითხვარის წარდგენა ჯგუფის აუდიტორისთვის - **არაუგვიანეს 10 თებერვალი.**
- ხელმოწერილი აუდიტორული დასკვნების ჩაბარება ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე (ინგლისური ვერსია) - **არაუგვიანეს 20 თებერვალი.**
- მენეჯმენტის წერილის (Management letter) ჩაბარება - **არაუგვიანეს 25 თებერვალი.**
- ხელმოწერილი აუდიტორული დასკვნების ჩაბარება ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე (ქართული ვერსია) - **არაუგვიანეს 2 მარტი.**

5. სატენდერო წინადადების წარდგენის ფორმატი

ტენდერში მონაწილეობით დაინტერესებულმა პირებმა წინადადებები უნდა წარადგინონ არაუგვიანეს 2026 წლის 25 აგვისტოს 18:00 საათამდე, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: mugulava@gpih.ge

- ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ელექტრონული სახით ქართულ ან ინგლისურ ენაზე.
- პრეტენდენტები, რომელთა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი, ან სხვა მოთხოვნილი დოკუმენტაცია არ იქნება წარმოდგენილი სრულყოფილად ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას და არ დაიშვებიან შეფასებისათვის.

- სადაზღვევო კომპანია იტოვებს უფლებას, რომ პრეტენდენტისგან მოითხოვოს ელექტრონულად გაგზავნილი დოკუმენტის/ინფორმაციის ორიგინალი/ორიგინალთან გათანაბრებული სახით წარდგენა და საჭიროების შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი.

ყველა პრეტენდენტის წინადადება უნდა შედგებოდეს შემდეგი ორი კომპონენტისგან:

ა) ტექნიკური წინადადება (Technical Proposal):

- კომპანიის პროფილი, ავტორიზაცია და SARAS-ის რეესტრის აქტუალური ამონაწერი;
- ანალოგიური სადაზღვევო პროექტების პორტფოლიო და რეკომენდატორების სია;
- აუდიტის დეტალური მეთოდოლოგია, სამუშაო გეგმა და გრაფიკი;
- სავარაუდო აუდიტორული გუნდის წევრების, პარტნიორისა და ექსპერტ-აქტუარის რეზიუმეები (CV).

ბ) ფინანსური წინადადება (Financial Proposal):

- მომსახურების სრული და საბოლოო ღირებულება ეროვნულ ვალუტაში (ლარი), დღგ-ს ჩათვლით;
- მოთხოვნილი გადახდის გრაფიკი (ავანსი, შუალედური, საბოლოო გადახდა).

შენიშვნა: მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა ასოცირებული ხარჯი სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ფინანსურ წინადადებაში.

***სატენდერო დოკუმენტაციის დეტალური მონაცემების მიღებამდე და შიდა ფინანსურ ინფორმაციაზე წვდომის მოპოვებამდე, ყველა პრეტენდენტმა სავალდებულო წესით უნდა მოაწეროს ხელი ინფორმაციის არაგამჟღავნების შეთანხმებას (NDA).

საკონტაქტო პირი: მიხეილ უგულავა, email: mugulava@gpih.ge